წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს, სადაც განსაზღვრულია საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის ძირითადი პირობები და შესაძლებელია შეიცვალოს კონკრეტული პირის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას

VTB

გირავნობის ხელშეკრულება

თარიღი:

1. ხელშეკრულების მხარეები

1. „მოგირავნე“ – სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია“ (შემდგომ “ბანკი”), წარმოდგენილი ---ს სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე.
2. „დამგირავებელი“ ---, დაბადებული ---წ, ქ. ---, მცხოვრები ---, პირ. მოწ.# --- პირადი# ---, გაცემული ---ს მიერ.

2. ხელშეკრულებისსაგანი

2.1 მოგირავნე უფლებამოსილია, მოგირავნესა და დამგირავებელს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით (შემდგომ “საკრედიტო ხელშეკრულება”) ნაკისრი ვალდებულებების დამგირავებლის მიერ შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დამგირავებლის საკუთრებაში არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაგირავებული ქონების ხარჯზე, რომლის დაგირავების პირობები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

2.2 გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია მოგირავნესა და დამგირავებელს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულება.

3. გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულება და გირავნობის საგანი

3.1 საკრედიტო ხელშეკრულების დადების თარიღი:

3.2 საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი:

3.3 საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დამგირავებლის მიერ შესრულების უზრუნველსაყოფად დამგირავებელი გირაოში დებს მის საკუთრებაში არსებულ შემდეგ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას (შემდგომ “გირავნობის საგანი”):

3.3.1 მარკა და მოდელი: -----; სარეგისტრაციო ნომერი: -----; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: ------; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი: -----; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის თარიღი ------.

3.4 გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური თანხა:

3.5 გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობას შეადგენს ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი, პირგასამტეხლო, საკომისიო, ჯარიმა, სასამართლო/არბიტრაჟის და რეალიზაციის ხარჯები, კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული სხვა ნებისმიერი გადასახდელი და შესაძლო ზიანი.

3.6 დამგირავებელი ადასტურებს, რომ გირავნობის საგანი ამ ხელშეკრულების დადებამდე არ არის გასხვისებული, არ არის დაყადაღებული და არ არის მესამე პირთა სასარგებლოდ უფლებრივად დატვირთული რაც ასევე დასტურდება სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით N -----

3.7 დაზღვევა:

ა) სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი):სადაზღვევო კომპანია;

ბ) მარკა და მოდელი: ---- ;ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: -------;ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი: -----;

გ) სადაზღვევო თანხა: ------

დ) ბენეფიციარი: ,,სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

4.**მხარეთა უფლება - მოვალეობანი**

4.1 დამგირავებელი მოვალეა შეინარჩუნოს გირავნობის საგნის რეალური ღირებულება, არ დაუშვას მისი დაზიანება და განადგურება.

4.2 გირავნობის საგნის სათანადოდ შენახვის ვალდებულება, ასევე მისი შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი ეკისრება დამგირავებელს.

4.3 თუ გირავნობის საგანს საფრთხე შეექმნა, დამგირავებელი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მოგირავნეს, მოგირავნე უფლებამოსილია განუსაზღვროს დამგირავებელს შესაბამისი ვადა საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

4.4 მოგირავნე უფლებამოსილია პერიოდულად შეამოწმოს გირავნობის საგნის მდგომარეობა, მიიღოს დამგირავებლისაგან გირავნობის საგანთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაცია.

4.5 თუ გირავნობის საგანი დაიკარგა, განადგურდა ან დაზიანდა, დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნისათვის მისაღებ ვადაში აღადგინოს ან მოგირავნესთან შეთანხმებით შეცვალოს იგი არანაკლებ იმავე ღირებულების ქონებით.

4.6 დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნის თანხმობის გარეშე არ განახორციელოს გირავნობის საგნის გადამუშავება, სხვა ნივთთან შერწყმა ან შეერთება. აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში გირავნობის უფლება არ წყდება.

4.7 დამგირავებელი არ არის უფლებამოსილი გირავნობის საგანზე დადოს გარიგება მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.8 დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს მოგირავნეს, რათა მოგირავნემ წინამდებარე ხელშეკრულების მარეგისტრირებელი ორგანოსაგან გამოითხოვოს და შესაბამისად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, დაკავშირებული დამგირავებელთან და გირავნობის საგანთან.

4.9 დამგირავებლის მიერ 4.2, 4.6 და 4.7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოგირავნეს უფლება აქვს მოითხოვოს კონკრეტული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნის დაუყოვნებლივი დაკმაყოფილება.

4.10 გირავნობის საგნის დაკარგვასთან, დაზიანებასთან, განადგურებასთან ან გაუფასურებასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი სახის ანაზღაურება, მათ შორის სადაზღვევო ანაზღაურება, იკავებს გირავნობის საგნის ადგილს.

4.11 დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს დამგირავებელთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური ან/და ნეგატიური, ასევე პერსონალური მონაცემები) გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერ დაწესებულებას მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის. აგრეთვე, დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს დამგირავებელთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვი თი ბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის;

4.12 საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების დამგირავებლისგან ამოღების მიზნებისათვის, დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს დამგირავებელთან და წინამდებარე_ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს;

4.13 ბანკი უფლებამოსილია გადასცეს დამგირავებელთან და წინამდებარე_ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს ბანკის მიერ დამგირავებლის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

4.14 ბანკი უფლებამოსილია დამგირავებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

4.15 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამგირავებელი პირი თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ" კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩემს მიერ გირავნობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

4.16 დამგირავებელი თანახმაა, რომ ბანკმა, დამგირავებლისთვის მომსახურების გაწევის ან/და საბანკო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, დამგირავებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერ საკრედიტო–საინფორმაციო მონაცემთა ბაზიდან ან/და სხვა წყაროდან, მათ შორის სს "კრედიტინფო საქართველოს" (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) მონაცემთა ბაზიდან მოიძიოს, მიიღოს, გამოიყენოს ან სხვაგვარად დაამუშაოს დამგირავებლის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემები).

4.17 დამგირავებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გირავნობის საგნის რეალიზაციისას, დამგირავებელს და შემძენს ერთობლივად ეკისრებათ მარეგისტრირებელ ორგანოში შემძენის დამგირავებლად რეგისტრაციის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამგირავებელი და შემძენი სოლიდარულად აგებენ პასუხს ამ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის.

5.**გირავნობის საგნის რეალიზაცია**

5.1 დამგირავებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (ნაწილობრივ) შესრულების შემთხვევაში მოგირავნე უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260[1]_ე მუხლის შესაბამისად გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებით ან მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283_ე მუხლის თანახმად.

5.2 გირავნობის საგნის რეალიზაცია შეიძლება განახორციელოს უშუალოდ მოგირავნემ ან რეალიზაცია მოხდეს სპეციალური სავაჭრო დაწესებულების მეშვეობით.

5.3 გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის, მოსალოდნელი რეალიზაციის ან მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების შესახებ შეტყობინების დამგირავებლისათვის (დამგირავებლის წარმომადგენელისათვის) გადასაცემად მოგირავნეს უფლება აქვს განახორციელოს ერთი ან რამოდენიმე ქვემოთ მითითებული ქმედება:

5.3.1 შეტყობინება დამგირავებელს გადასცეს უშუალოდ;

5.3.2 გაუგზავნოს შეტყობინება კურიერის ან ფოსტის მეშვეობით;

5.3.3 მიაწოდოს შეტყობინება ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით, ბანკის მხრიდან ელექტრონული შეტყობინება გაიგზავნება მისამართიდან - info@vtb.geდამგირავებლის შემდეგ მისამართზე Guarantor EMail. აღნიშნული წესით გაგზავნილ შეტყობინებას გააჩნია იურიდიული ძალა. შეტყობინება გაგზავნილად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ბანკი მიიღებს დამგირავებლის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ ინფორმაციას.

5.3.4 გამოაქვეყნოს შეტყობინება ბეჭდით ორგანოში რომელიც ვრცელდება იმ ტერიტორიულ ფარგლებში, რომელიც მოიცავს დამგირავებლის მიერ მითითებულ მისამართს. აღნიშნულ შემთხვევაში შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი გამოქვეყნებიდან 3 დღის შემდეგ.

5.4 ხელშეკრულების 5.3.1 და 5.3.2 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც თუ იგი მიიღო დამგირავებლის მიერ მითითებულ მისამართზე მყოფმა ნებისმიერმა პირმა.

5.5 მოგირავნეს უფლება აქვს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვა შემთხვევებშიც, შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს დამგირავებელს ხელშეკრულების 5.3 პუნქტით განსაზღვრული წესით.

5.6 შეტყობინების გადასაცემად მოგირავნე იხელმძღვანელებს დამგირავებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე- 8 მუხლში გაცხადებული რეკვიზიტებით.

5.7 შეტყობინება დამგირავებლის მიერ მიღებულად ითვლება მისი გაგზავნისდღიდან, ხოლო საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში – ამ ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან. თუ განხორციელდა მე - 8 მუხლში მითითებული დამგირავებლის რომელიმე რეკვიზიტის შეცვლა და იგი დაუყოვნებლივ აღნიშნულის შესახებ წერილობით არ შეატყობინებს მოგირავნეს, შეტყობინება/დოკუმენტი დამგირავებლის მიერ მიღებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტებზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

5.8 დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცეს მას გირავნობის საგანი. გირავნობის საგნის გადაცემის დაყოვნებისათვის დამგირავებელს დაეკისრება ჯარიმა მოგირავნის მიმართ, არსებული დავალიანების თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.9 კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოგირავნე უფლებამოსილია მიმართოს წინამდებარე ხელშეკრულების მარეგისტრირებელ ორგანოს, რათა ამ უკანასკნელმა გასცეს აღსრულებას დაქვემდებარებული აქტი - გირავნობის მოწმობა.

5.10 მოგირავნე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული გირავნობის საგნის რეალიზაციის წესი ან მიიღოს გირავნობის საგანი საკუთრებაში.

5.11 გირავნობის საგნის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს დამგირავებლის წინასწარი წერილობითი გაფრთხილების გარეშე, თუ არსებობს გირავნობის საგნის საბაზრო ან საბირჟო ფასის დაცემის რეალური საფრთხე.

5.12 დამგირავებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მოგირავნეს გირავნობის საგნის რეალიზაციაში.

5.13 თუ დაგირავებული საგნის რეალიზაციის შემთხვევაში რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში იმ მომენტისათვის გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს გირავნობით უზრუნველყოფილ მოთხოვნას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ითვლება და ამ შემთხვევაში მოგირავნე უფლებამოსილია დარჩენილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს დამგირავებლის საკუთრებაში არსებული სხვა ქონების ხარჯზე.

6. გირავნობის შეწყვეტის საფუძვლები

6.1 გირავნობის საგანზე მოგირავნის გირავნობის უფლება შეწყდება:

6.1.1 გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების სრულად შესრულებისას;

6.1.2 გირავნობის საგნის რეალიზაციისას ან მოგირავნის საკუთრებაში გადასვლისას.

6.1.3 კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2 გირავნობის საგნის მესაკუთრის შეცვლა არ არის გირავნობის შეწყვეტის საფუძველი. ამ შემთხვევაში გირავნობის საგნის მიმართ დადგენილი ვალდებულებითი ტვირთი მიყვება გირავნობის საგანს.

7. სხვა პირობები

7.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევაში მხარეები გამოიყენებენ საქართველოს კანონმდებლობას.

7.2 საკრედიტო ხელშეკრულებაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება არ წარმოშობს წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ვალდებულებას და ცვლილებაზე გავრცელდება არსებული გირავნობა

7.3 „ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მის გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

7.4 მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ

კორესპოდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპოდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).

7.5გირავნობის საგნის მიმართ იძულებითი აღსრულების შემთხვევაში მოგირავნეს უფლება აქვს გირავნობის საგნის რეალიზაციის ან საკუთრებაში მიღების მიზნით მიმართოს სააღსრულებო ბიუროს/კერძო აღმასრულებელს.

7.6 ეს ხელშეკრულება შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რეგისტრაციისათვის, ერთი გადაეცემა დამგირავებელს, ხოლო ორი – მოგირავნეს.

8. მხარეთა ხელმოწერები

"მ ო გ ი რ ა ვ ნ ე"	"დ ა მ გ ი რ ა ვ ე ბ ე ლ ი"
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	სახელი,გვარი
ფილიალი	პ/ნ
მისამართი	გამც.ორგ.
ხელმომწერი პირი	მისამართი:
(995 32) 2242424	ტელ.: ელ.ფოსტა: